კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარინე უგულავა

პოსტსაბჭოთა საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობების თავისებურებები

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი, 0141, საქართველო

2024

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

თამარ კიკნაძე

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქეთევან შოშიაშვილი

ისტორიის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

სოსო ვახტანგაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ემილია ალავერდოვი

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2024 წლის 19 ივლისს 15:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N 73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **პეტრე მამრაძე.**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა

სამ ათეულ წელზე მეტია აზერბაიჯანს და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებს. სსრკ-ს დაშლით ორივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და გამოიკვეთა ტერიტორიული მთლიანობის, რეგიონული ინტეგრაციის საკითხები და „დიდი“ მოთამაშეების (აშშ, რუსეთი, თურქეთი, ირანი და ჩინეთი) ინტერესები. ამ ქვეყნების ურთიერთობები არ არის მხოლოდ გეოგრაფიულ სიახლოვესთან დაკავშირებული. წლების განმავლობაში ორივე ერთი და იმავე სახელმწიფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა და ერთი და იმავე პოლიტიკურ-იდეოლოგიური სისტემის ნაწილი იყო. მათ მსგავსი პროცესებით მოიპოვეს დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლასთან ერთად ჰქონდათ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. მაგრამ, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, ისინი არ არიან ცნობილი, როგორც დაძაბულობისკენ მიდრეკილი ქვეყნები. პირიქით, მათ სურთ ითანამშრომლონ და წვლილი შეიტანონ რეგიონულ და საერთაშორისო მშვიდობისთვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასია მსოფლიოს წამყვან პოლიტიკურ აქტორთა გეოპოლიტიკური ინტერესების ქვეშ მოექცა, რის გამოც რეგიონმა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ფუნქცია შეიძინა, რომელიც მას ოდითგან ჰქონდა, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მთავარი გეოპოლიტიკური არეალის სტრატეგიულ მაკავშირებელს. შესაბამისად, ამ ორი გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი ქვეყნის აზერბაიჯანისა და საქარველოს ურთიერთობების შესწავლას გამორჩეული დატვირთვა აქვს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ორივე ქვეყანაში თავი იჩინა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პრობლემებმა, ეთნიკურმა დაპირისპირებებმა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხმა, რამაც ეს ქვეყნები კონფლიქტებამდე

მიიყვანა. სომხურ-აზარბაიჯანული შეიარაღებული კონფლიქტი ყარაბაღში, კონფლიქტები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში. მსოფლიო საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მნიშვნელოვანია ეთნო-კონფლიქტების დარეგულირება და მინიმუმამდე დაყვანა. თანამედროვე გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე კონფლიქტების პრობლემა საერთაშორისო თანამეგობრობის მზარდი ინტერესის საგანს წარმოადგენს. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები საფრთხეს უქმნის რეგიონული თანამშრომლობის გრძელვადიან პერსპექტივას. საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად არ ერევა, ცდილობს რეგიონში არსებული კონფლიქტების დარეგულირებას და ამ კონფლიქტების ერთ-ერთი ინიციატორის რუსეთის გავლენის შემცირებას. გეოპოლიტიკური დაპირისპირების გლობალური აქტორები არიან დასავლეთი და რუსეთი. გამოკვეთილია რეგიონულ სახელმწიფოთა - ირანის და თურქეთის ინტერესები.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველო და აზერბაიჯანი ერთმანეთის სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ. პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა განსაკუთრებული ინტენსივობა შეიძინეს მას შემდეგ, რაც ორ ქვეყანას შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები. რის შედეგად გამოიკვეთა ურთიერთთანამშრომლობის სფეროები - დიდი აბრეშუმის გზის პროექტის რეალიზება, კასპიისა და შავი ზღვიდან გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირება, სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედების პროექტები. ორივე ქვეყანა გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, რამაც ხელი შეუწყო სოციალურ-ეკონომიკურ დაახლოებას.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასია ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდა, რაც განპირობებული იყო დიდი პოლიტიკური მოთამაშეების შუა აზიისა და კასპიის ზღვის ენერგორესურსებით დაინტერესებით. რეგიონი ერთდროულად მიმზიდველი აღმოჩნდა დასავლეთისთვის, რუსეთის, ირანის, თურქეთის და

ჩინეთისთვის. აქედან საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის რუსეთი, თურქეთი და ირანი სამეზობლო სახელმწიფოებს წარმოადგენენ.

რუსეთს სამხრეთ კავკასიაში ინტერესები მისი მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლისთანავე გაუჩნდა. ჩვენ არ წავედით ისტორიულ სიღრმეებში და განვიხილეთ სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთის ინტერესები, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებს და განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიას თავიანთ გავლენის სფეროდ მოიაზრებს. რუსეთმა ვერ მოახერხა დასავლეთთან სტრატეგიული ინტერესების შეთავსება და პოლიტიკური აქცენტები სამხრეთ კავკასიაზე გადმოიტანა „რბილი ძალის“ პოლიტიკის გამოყენებით. კერძოდ, იგი ცდილობს ჩაერთოს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების საშინაო საქმეებში და მათი საგარეო პოლიტიკა საკუთარ ინტერესებს მოარგოს. აქვე უნდა აღინიშნოს თურქეთის რესპუბლიკის ინტერესების გაფართოება პოსტსაბჭოთა პერიოდში, რომლის შედეგადაც მოხდა თურქეთის რეგიონალური პოლიტიკის ფორმირება. თურქეთის დიპლომატია აქტიურად მუშაობს ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში. მიუხედავად თურქულ - სომხური ურთიერთობების უკიდურესი გაუარესებისა, ანკარამ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს და საერთაშორისო საზოგადოებას რეგიონალური უსაფრთხოების საკითხების დარეგულირების რამდენიმე მოდელი შესთავაზა და საერთაშორისო მნიშვნელობის ეკონომიკურ პროექტებში საქართველოსა და აზერბაიჯანთან ერთად ჩაერთო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალთა ბალანსი სამხრეთ კავკასიაში სამ მეზობელ ქვეყანას შორის არათანაბრად არის გადანაწილებული. დომინანტი თურქეთი გამოდის, რომელსაც ალიანსი აქვს აზერბაიჯანთან. ხოლო საქართველოსთან სტრატეგიულ პარტნიორობით შემოიფარგლება და ხშირ შემთხვევაში ასევე მიმართავს “რბილი ძალის“პოლიტიკას. რაც შეეხება სომხეთ-თურქეთის ურთიერთობას, იგი თანდათან ნელი პროცესით ნორმალიზდება. რუსეთს ალიანსი აქვს სომხეთთან, აზერბაიჯანთან სტრატეგიული პარტნიორობა. რაც შეეხება ირანს, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანასთან აქვს ურთიერთობა, თუმცა, არ აქვს სტრატეგიული პარტნიორობა.

აშშ-ს ინტერესები სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებით გაიზარდა სსრკ-ს დაშლის შემდეგ, გეოპოლიტიკური ინტერესი დაკავშირებულია შავი და კასპიის ზღვის ენერგორესურსებთან. აშშ დაინტერესებულია უსაფრთხო ტრანზიტის უზრუნველყოფით, ირანზე ზეწოლის გაძლიერებით, რეგიონის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობით და დემოკრატიული მმართველობით. აშშ სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანს პარტნიორად მიიჩნევს, რადგან მის ინტერესებში შედიოდა კასპიის რესურსების კონტროლი და ახალი გაზსადენის მშენებლობა რუსეთისა და ირანის გვერდის ავლით.[1] 1994 წელს ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ე.წ." საუკუნის ხელშეკრულებას". ამ ხელშეკრულების თანახმად , ამერიკული კომპანიები ენერგორესურსების მთლიანი რაოდენობის 38%-ს ფლობდნენ, მაშინ, როდესაც რუსულმა კომპანიებმა 10% ძლივს მიიღეს. აშშ-ს მიზანს წარმოადგენს სრულიად შეზღუდოს ევრაზიულ სივრცეში რუსული მონოპოლია წიაღისეულის მოპოვებასა და ტრანსპორტირებაზე. აშშ-ს გავლენა რეგიონში განსაკუთრებით გაიზარდა პოსტსაბჭოთა რუსეთის დასუსტების ფონზე. ბოლო პერიოდში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების გამო, იგი ცდილობს შეინარჩუნოს ეს გავლენები აქტიური პოლიტიკის გატარების მეშვეობით, განსაკუთრებით სომხეთთან მიმართებაში, რომელსაც სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას ირანსა და ევროპას შორის, რათა შემცირდეს ევროკავშირის დამოკიდებულება რუსულ ბუნებრივ აირზე. სწორედ ამის შედეგი იყო, აშშ-ს პოზიცია ყარაბაღის ომის მიმართ. ქვეყანამ უარი განაცხადა სამხედრო წვრთვნებზე, რომელიც უნდა გამართულიყო კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზებით რუსეთის მიერ. აშშ-მ მოახერხა და რუსეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში საგრძნობლად შეამცირა, ყარაბაღის კონფლიქტის ნაწილობრივ გადაწყვეტით NATO მიუახლოვდა ირანის საზღვრებს. სომხურ-აზერბაიჯანული და სომხურ-თურქული

[1] ზარიფიანი ჟ. პირობითი ჩართულობა აშშ-ს საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში, ge.boell.oprg/ka/2018/02/06

ურთიერთობების დალაგების შემთხვევაში, აშშ ვარაუდობს თავისი გავლენის კიდევ უფრო გაზრდას.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ ირანის პოლიტიკის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში საგრძნობლად გაიზარდა. იგი ითვალისწინებს ისტორიულ წარსულს და თანამედროვე პოლიტიკურ კონიუნქტურას. ირანის ინტერესს წარმოადგენს თავისი გავლენის გაზრდა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ძალთა ბალანსის მიღწევა რუსეთთან და თურქეთთან და სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური და კულტურული ექსპანსიის გზით რეგიონში ფეხის მოკიდება. საერთაშორისო კვლევებმა აჩვენა, რომ ირანმა ვერ შეძლო საქართველოში თავისი ინტერესების გატარება,[2] მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის 2010 წლიდან უვიზო რეჟიმია, ინტერესი საქართველოს მხრიდან არ არის გაძლიერებული, ირანი ძირითად სავაჭრო პარტნიორად არ მოიაზრება. ირანის რბილი ძალის პოლიტიკამ საქართველოში სათანადო გავლენა ვერ უზრუნველყო. თუმცა სწრაფი გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, მომავალში შესაძლოა ირანი საქართველოსთვის სერიოზული პარტნიორი ქვეყანა გახდეს. საქართველოს ხელისუფლება ითვალისწინებს ირანის ურთიერთობებს საერთაშორისო თანამეგობრობასთან, თუმცა ურთიერთობების გაუარესებაზე საუბარი არ ყოფილა. ამაზე მეტყველებს 2013 წელს შეწყვეტილი უვიზო რეჟიმის 2016 წელს აღდგენა.

აზერბაიჯანში ირანის ინტერესები სსრკ-ს დაშლის შემდეგ შედარებით დაბალანსებული იყო. აზერბაიჯანი ცდილობს მოირგოს ტრიმერის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში. ირანი აზერბაიჯანისთვის ენერგორესურსების საკითხში კონკურენტ სახელმწიფოდ შეიძლება აღვიქვათ. ამავდროულად, სანქციების გამო ირანი იზოლაციაშია და ვერ ახერხებს თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას.

[2] შარაშენიძე თ. ირანის როლი სამხრეთ კავკასიაში. კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი, 2019. გვ.4

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისიდან სამხრეთ კავკასიაში იზრდება ერთ-ერთი დიდი მოთამაშე - ჩინეთის ინტერესებიც. „აბრეშუმის გზის“ აღდგენით საქართველო და აზერბაიჯანი ამ პროექტის მონაწილე ქვეყნები ˜გახდენენ. აღსანიშნავია, აშშ-სა და ევროკავშირის მიერ ინიცირებული სხვადასხვა პროექტებიც, როგორიცაა „ევროპა-კავკასია-აზიის დერეფანი TRACECA, ენერგეტიკული თანამშრომლობის საერთაშორისო პროგრამა INOGATE, ჩინეთის მიერ შემოთავაზებული “ერთი სარტყელი - ერთი გზა“, რასაც თეირანის მხრიდან მოყვა აზერბაიჯანის საჰაერო სივრცეში დემონსტრაციული შეჭრა.

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მალევე დაიწყო რეგიონულ სახელმწიფოებთან ინტერესების შეჯერება და დაბალანსება. აზერბაიჯანი მუსლიმური ქვეყანაა და დიპლომატიური, რელიგიური და ჰუმანიტარული მისიების საშუალებით ისლამის პოპულარიზაციას ცდილობს. თუმცა აზერბაიჯანის დიპლომატიური სვლები პერიოდულად აშშ-ს გაღიზიანებას იწვევს, რადგანაც ზოგიერთ შემთხევვაში აზერბაიჯანის მოქმედებები ჩინეთის ინტერესების გავრცელებას ემსახურება.

საქართველოსა და ჩინეთს შორის 2018 წლიდან გაფორმდა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. 2023 წელს კი საქართველოს ხელისუფლების ვიზიტის ფარგლებში ორ ქვეყანას შორის სტრატეგიულ პარტიორობის შესახებ განცხადება გავრცელდა, რომელიც მოიაზრებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და საერთაშორისო ურთიერთობებს. აქვე დადგა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები პოზიტიურად წარმოჩინდება, ჩინეთს სურვილი აქვს განიმტკიცოს თავისი პოზიციები განხორციელებული პროექტების საშუალებით, რაც რეგიონში აშშ-სა და ევროკავშირის პოზიციების შემცირებას გულისხმობს.

სამხრეთ კავკასიის რეგიონსა და საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ტრანსნაციონალურ კომპანიებს და დიდ ენერგეტიკულ პროექტებს. აღნიშნული პროექტები ორი ქვეყნის ურთიერთობას

მჭიდროსა და სტაბილურს ხდის. რეგიონის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია სამი ქვეყნის საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მშვიდობიანი ურთიერთობების მშენებლობის პროცესი, რაც რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი გარანტიაა.

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების მნიშვნელოვანი ფაქტორია ისტორიული ურთიერთობები და საერთო ინტერესები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია პოსტსაბჭოთა საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობების თავისებურებების კვლევა და ანალიზი.

კვლევის ამოცანები, რომლის გადაჭრას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი გამოიკვეთა:

გამოვავლინოთ და გავაანალიზოთ ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების ძირითადი ისტორიული ეტაპები.

- გამოვკვეთოთ საქართველოს და აზერბაიჯანის როგორც ბუფერული სახელმწიფოების და კავკასიის რეგიონის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური აქტორების როლი და მათი ურთიერთობების მნიშვნელობა.
- გამოვყოთ პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები პოსტბიპოლარულ პერიოდში.
- გავაანალიზოთ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ვექტორი და მასთან დაკავშირებული გამოწვევები.

- მეცნიერულად გავაანალიზოთ საქართველო-აზერბაიჯანის, როგორც სტრატეგიული პარტნიორების ურთიერთობები და ამ ურთიერთობების როლი რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაში.
- გავაანალიზოთ საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები და თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროებში.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები:

- რა ძირითადი ისტორიული ეტაპები არსებობს საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებში და რა თავისებურებებით ხასიათდება ეს ურთიერთობები ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში?
- როგორია საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობები რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაში?
- რა გამოწვევები არსებობს საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობებში?
- რა პერსპექტივები აქვს პოსტსაბჭოთა საქართველო-აზერბაიჯანს რეგიონულ და გლობალურ დონეზე?

ნაშრომის ჰიპოთეზა

ისტორიულად სამხრეთ კავკასიის ორი ქვეყნის, საქართველოსა და აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კავკასიის რეგიონის საკვანძო ქვეყნებს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი საგარეო პოლიტიკა მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ურთიერთობები მაინც პოზიტიურ ჭრილში მიმდინარეობს და სტრატეგიული თანამშრომლობით გამოირჩევა. თუმცა იდენტიფიცირებულია რიგი გამოწვევები. მათი გადაჭრა ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობების კიდევ უფრო

გაღრმავებას და მათი როლის გაზრდას როგორც რეგიონულ უსაფრთხოების, ისევე საერთაშორისო სტაბილურობის უზრუნველყოფაში.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის ობიექტი - პოსტსაბჭოთა საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოების პოლიტიკური ურთიერთობების თავისებურებები.

კვლევის საგანი - პოსტსაბჭოთა საქართველოს და აზერბაიჯანის სახელმწიფოების პოლიტიკური ურთიერთობები.

ნაშრომის თეორიული ჩარჩო

სადისერტაციო ნაშრომი „პოსტსაბჭოთა საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობების თავისებურებები“ გაანალიზებულია თეორიულ ჭრილში. მასში გამოყენებულია თეორიები ბუფერული სახელმწიფოებისა და ალიანსების დაბალანსებისა და მიტმასნების (სტივენ უოლტის) შესახებ. რის საფუძველზეც მოხდა ორი სახელმწიფოს ურთიერთობების თავისებურებების და რეგიონული სტაბილურობის საკითხების გაანალიზება.

ბუფერული სახელმწიფოების თეორია ვინაიდან ეყრდნობა ძალთა წონასწორობის კონცეფციას, საქართველოსა და აზერბაიჯანის არსებობა მეტწილად დამოკიდებულია დიდ სახელმწიფოთა შორის ძალთა გადანაწილებასა და ძლიერი მეზობლების უსაფრთხოების მოთხოვნილებებზე.

ძალთა ბალანსის თეორიის[3] კონცეფციის ძირითადი აზრია-ანარქიულ საერთაშორსო სისტემაში თითოეული სახელმწიფოს ბრძოლა თვითგადარჩენისა და

[3] https://samuelbhfauredotcom.files.wordpress.com/2015/10/s2-mearsheimer-2001.pdf

თვითდამკვიდრებისთვის, რომლის მთავარ პირობას წარმოადგენს დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება. ჩვენი კვლევა სწორედ ეხება ორი სახელმწოფოს მიერ ძალის სახიფათო კონცენტრაციის დაბალანსებას თავიანთი შესაძლებლობების გაზრდით ვინმესთან ალიანსით, საფრთხის თავიდან ასაცილებლად. საფრთხის არსებობის შემთხვევაში არსებობს გამოსავალი - დაბალანსების ან მიტმასნების პოლიტიკა.

დაბალანსება[4] - ვინაიდან გულისხმობს განეიტრალების თვალსაზრისით ძლიერი ან საფრთხის წყარო სახელმწიფოსთან კავშირში შესვლას, საქართველო, როგორც პატარა სახელმწიფო, ამ პოლიტიკას იყენებს დასავლეთთან მიმართებაში. სტივენ უოლტი ზემოაღნიშნულ ნაშრომში დაბალანსების პოლიტიკის ტენდენციაში ორ ფაქტორს გამოყოფს: გაწონასწორება და კავშირში შესვლა (მიტმასნება), რითაც მოკავშირეებს შორის ასიმეტრიული ურთიერთობები ყალიბდება. აქვე უნდა გავითვალისწინოთ თეორიის ავტორთა მოსაზრება, რომ დაბალანსების პოლიტიკა უფრო ვალიდურია დიდი სახელმწიფოებისთვის, ვიდრე პატარა ქვეყნებისთვის, ისეთი როგორიც საქართველო და აზერბაიჯანია.

მიტმასნების [5] - თეორია განხილულია არა მარტო უოლტის განსაზღვრებით, არამედ, გათვალისწინებულია რანდალ შველერის მოსაზრებაც, ვინაიდან იგი მიტმასნებაში ვერ ხედავს ვერაფერს ნეგატიურს, რადგან საფრთხის წყაროსთან კავშირში შესვლა დამატებით სარგებლის მიღების მიზნით ხდება. ამავე დროს, მიტმასნების პოლტიკის პირობებში სახელმწიფოები ცდილობენ ძლიერის დაბალანსებას, საერთაშორისო ურთიერთობაში ამისი მრავალი მაგალითი არსებობს. საქართველოს შემთხვევაში ეს იძულებითი აღმოჩნდა, კერძოდ1993 წელს, როდესაც აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ შევიდა რუსული გავლენის მქონე ქვეყანათა გაერთიანებაში (დსთ).

---

[4] Randall L.Schweleer, New Research on Alliances: Refining ,Not Refuting,Weltz Balansing Preposition The American Political Science Review, Vol91.N04.1997 p 927-928

[5] Randall L.Schweleer, New Research on Alliances: Refining ,Not Refuting,Weltz Balansing Preposition The American Political Science Review, Vol91.N04.1997 p 928

ჰეგემონური სტაბილურობა[6] - თეორიის არსს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკური წესრიგის შესაქმნელად ეკონომიკური და სამხედრო ძალების არსებობა, რადგან მის გარეშე ვერ მოხერხდება ლიბერალური წესების დაკანონება მსოფლიოში. ამავე დროს, ჰეგემონი სახელმწიფო თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ქმნის თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, შესაბამისად, თავისუფალ ვაჭრობას. მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ თეორიის საშუალებით ხსნის ომის გამომწვევ, ბაზრის სტაბილურობისა და ეფექტურობის მიზეზებს. თეორია ასევე ცდილობს ახსნას, თუ რა აყალიბებს მსოფლიო წესრიგს.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების[7] თეორიის თანახმად, ძალა და ძლიერება განისაზღვრება ცალკეული სფეროებით, როგორიცაა: საერთაშორისო ვაჭრობა, გადაზიდვები და ა. შ. გაზრდილია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, რომლებიც პატარა ქვეყნების ქმედების ასპარეზს წარმოადგენენ და აკონტროლებენ მათ საერთაშორისო დონეზე. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის პროცესში თეორიამ მნიშვნელოვანი საკითხების ახსნაში დიდი დახმარება გაგვიწია და დაგვიდასტურა, რომ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერესთა თანხვედრას, იმ მნიშვნელოვან პროექტებს, რომლებსაც ისინი რეგიონში ერთობლივად ანხორციელებენ.

კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

საკვალიფიკაციო თემასთან დაკავშირებით კვლევა წარიმართა თვისებრივი კვლევის მეთოდის საფუძველზე, რამაც მნიშვნელოვანი საკითხების სიღრმისეული შესწავლის საშუალება მოგვცა. გაანალიზდა ვალიდური და რელევანტური მასალები-სტატიები, მონოგრაფიები, სტატისტიკური მონაცემები.

---

[6] ჩიტალაძე ა. ჰეგემონური სტაბილურობის თეორია, https/jeanspolitics, wordpress.com2014/02/19.ბოლო ნახვა 08.02. 2024

[7] არტ ჯერვისი , საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. ილიაუნი გამომც. თბ. 2011.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდოლოგიური მიდგომები, როგორიცაა:

- ისტორიულ-აღწერილობითი ანალიზი დაგვეხმარა საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობების მიმოხილვისთვის;
- შედარებითი ანალიზი, რომლის მეშვეობით გამოვავლინეთ ფაქტებსა და მოვლენებს შორის მსგავსება და განსხვავება. მნიშვნელოვანია საქართველოსა და აზერბაიჯანის ქვეყნების მიერ გადადგმული ნაბიჯების შესაფასებლად რეგიონული უსაფრთხოების და ენერგეტიკული პროექტების თვალსაზრისით;
- კონტენტ ანალიზი - დაგვეხმარა მნიშვნელოვანი დოკუმენტების სისტემატიზაციაში.
- Case-study მეთოდის გამოყენება დაგვეხმარა საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების საფუძვლების, საერთო მიზნებისა და ტენდენციების გაანალიზებაში.
- კვლევითი მეთოდების დისკურსის კრიტიკული ანალიზით გამდიდრება დაგვჭირდა იმდენად, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ ეს ინსტრუმენტი საუკეთესო კვლევითი მეთოდია საქართველოსა და აზერბაიჯანის ცვალებადი ურთიერთობების შესასწავლად.
- მონაცემთა ანალიზი, რომლის საშუალებით შევისწავლეთ სხვადასხვა სახის მონაცემები და გავაკეთეთ შესაბამისი დასკვნები
- ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა დარგის სპეციალისტებთან, რომელთა კვლევის სფეროს წარმოადგენს რეგიონული პროცესები, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოტენციალი და სატრანზიტო მარშრუტები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე და იმ აქტუალური საკითხების კვლევა,

რომელიც ნაკლებად არის შესწავლილი. აქტუალური საკითხები - სადემარკაციო ხაზთან დაკავშირებული პრობლემები, რომელთა შესწავლა-გაანალიზებისას გამოყენებულია ისტორიული რუკები და დოკუმენტები, ჩამოყალიბებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც ორი ქვეყნის ურთიერთობების მნიშვნელოვან გამოწვევებთან არის დაკავშირებული. განსაზღვრულია საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის პრიორიტეტული სფეროები და მათი განხორციელების პერსპექტივები.

ნაშრომში წარმოჩენილია პოსტსაბჭოთა საქართველოს და აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობების თავისებურებები. მასში შესწავლილი და გაანალიზებულია როგორც საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის - აზერბაიჯანელები, ასევე აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების მდგომარეობა. ემპირიული კვლევის საფუძველზე გამოვლენილია ის პრობლემები, რომლებიც არსებობს ორი ქვეყნის ურთიერთობებში.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

თემის თეორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი დაეხმარება ამ პრობლემაზე მომუშავე ყველა მეცნიერს, პრაქტიკოსს, ანალიტიკოსსა და რეგიონული საკითხების ექსპერტებს, როგორც დამხმარე მასალა შესაბამისი პროფილის დისციპლინების ათვისებისას.

ჩვენი კვლევის საფუძველზე შეიძლება ჩატარდეს აღნიშნული პრობლემის უფრო ღრმა და კომპლექსური შესწავლა, მომზადდეს სასწავლო და სპეციალური კურსები. კვლევის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგიონულ საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპების შემუშავებისას და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მომზადებისას.

რაც შეეხება პრაქტიკულ მნიშვნელობას, ჩვენს დისერტაციაში არსებული მასალები და განზოგადებანი შეავსებს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების კონტექსტში არსებულ სიცარიელეს. ამას გარდა,

მიზანშეწონილია შედეგების გამოყენება სასწავლო და კვლევით საქმიანობაში, უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ პირველადი და მეორეული წყაროები, რაც დაგვეხმარა საკვლევი თემატიკის რეტროსპექტულ და დესკრიფციულ ანალიზში.

პაპავა ვ, ისმაილოვი ე, ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები. [8]

ნაშრომში განხილულია კავკასიის რეგიონის ქვეყნების განვითარების თავისებურებანი, მათი ურთიერთკავშირი საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან და პოლიტიკური გაერთიანებებთან. მონოგრაფიაში წარმოჩენილია კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და შემდგომი პერსპექტივები გლობალიზაციის პროცესში. განსაზღვრულია გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქციები თანამედროვე პირობებში.

ბესიკ ალადაშვილი, სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე. ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი?[9]

---

[8] პაპავა ვ., ისმაილოვი ე. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები, თბ. 2007. კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი

[9] ალადაშვილი ბ. სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე, ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი? გამომც. „საზოგადოება ცოდნა“, თბილისი, 2010.

ნაშრომში განხილულია მრავალი ფაქტობრივი მასალა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში. გაანალიზებულია ზე სახელმწიფოთა ინტერესები, ახსნილია ამ ინტერესთა მამოძრავებელი მომენტები და განხორციელების მრავალვარიანტული სცენარები. ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკურ ფაქტორზე, როგორც სამხრეთ კავკასიის ტრანზიტულ ფუნქციაზე. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ნაშრომში წარმოდგენილი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური საფრთხეების ანალიზი, კერძოდ მოუგვარებელი კონფლიქტები, ახალი სამხედრო კონფლიქტის რეალობა, ირანის ატომური პროექტი, და კვლავ რუსეთის ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი შედარებით ადრეულ წლებშია დაწერილი და დღეს მცირედით შეცვლილია მდგომარეობა, მაინც მნიშვნელოვნად დაგვეხმარა საკვლევი თემის დამუშავების პროცესში.

ვალერი მოდებაძე, გადაწყვეტილების მიღების პროცესი საგარეო პოლკიტიკაში.[10] ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ანარქიულ სისტემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების სირთულე. გადმოცემულია თუ რა სირთულეებთან არის დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება. გაანალიზებულია თითეული ფაქტორი-გარემო, ფსიქოლოგიური, საერთაშორისო და საშინაო. წარმოდგენილია კონკრეტული ქეისებში გადაწყვეტილების მიღების გარემოს ძირითადი მახასიათებლები.

რევაზ გაჩეჩილაძე, საქართველო მსოფლიო კონტექსტში.

მონოგრაფიაში გაანალიზებულია XX და XXI საუკუნის დასაწყისის ავტორისეული ხედვა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, საქართველოს ირგვლივ არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე. ნაშრომში ზოგიერთი ისტორიული ფაქტის მიმართ შეინიშნება გაბატონებული სტერეოტიპის ნგრევის სურვილი. ზოგიერთ საკითხთან მიმართებაში ავტორისეულ ხედვას არ ვეთანხმებით. თუმცა,

[10] მოდებაძე ვ. გადაწყვეტილების მიღების პროცესი საგარეო პოლიტიკაში. თბილისი, 2020.

სამრთლიანად არის გამოთქმული მოსაზრება სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში, სადაც ავტორი მიიჩნევს, ერთ რეგიონად ჩამოყალიბების მთავარ პრობლემად სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირებას. ნაშრომში განხილულია და მცირე დასკვნებია მოცემული საქართველოს პირველი და მეორე დამოუკიდებლობის პერიოდის გეოპოლიტიკური კონტექსტის შესახებ.[11]

მაღრაძე გ., მაისაია ვ. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: მითი და რეალობა-რეგიონალური და გლობალური ასპექტები.[12] ნაშრომი ეძღვნება უსაფრთხოების პრობლემას საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე. ავტორები თვლიან, რომ მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევა მთავარი გამოწვევაა და ამ პროცესში საქართველოს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საგარეო პოლიტიკა. თეორიები, აქტორები, ქეისები[13]

ნაშრომში წარმოდგენილია საგარეო პოლიტიკის საკითხები, რომელიც სხვადასხვა ავტორების მიერ არის შესწავლილი და გამოცემული მონოგრაფიების და სტატიების სახით. განხილულია შედარებითი საგარეო პოლიტიკის საკვანძო პრობლემები. ყურადღება გამახვილებულია თეორიებზე, საგარეო პოლიტიკის აქტორებსა და საერთაშორისო გლობალურ ეკონომიკაზე.

რ. არტი ,რ. ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები,[14] რომელიც წარმოდგენს ფუნდამენტურ რობერტ არტისა და რობერტ ჯერვისის ფუნდამენტურ ნაშრომს, სადაც განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა ძალისა და პრინციპის როლი სახელმწიფოს მართვაში, საერთაშორისო

---

[11] რ. გაჩეჩილაძე, საქართველო მსოფლიო კონტექსტში, თბ. 2020. ბაკურ სულაკაურის გამომც.
[12] მაღრაძე გ., მაისაია ვ. საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია. მითი და რეალობა-რეგიონალური და გლობალური ასპექტები. გამომც. უნივერსალი. თბილისი, 2017.
[13] საგარეო პოლიტიკა, თეორიები, აქტორები, ქეისები. მეორე გამოცემა. თსუ გამომც., თბ. 2021.
[14] არტი რ., ჯერვისი რ. საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. ილიაუნი გამომც. თბ. 2011.

პოლიტიკური ეკონომიკა და გლობალიზაცია, მსოფლიო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები და გლობალური მმართველობა.

სარედაქციო კოლეგია, ეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრაცია ქვემო ქართლში (სომხები და აზერბაიჯანელები).[15] მონოგრაფიაში განხილულია ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ჩამოსახლების ისტორია, ტრადიციული ყოფა და კულტურა, ინტეგრაციის თავისებურებები. ნაშრომში წარმოდგენილია აზერბაიჯანელთა და სომეხთა ურთიერთობის კულტურული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების მეცნიერული ანალიზი.

ალექსანდრე რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში.[16] მონოგრაფიაში განხილულია პატარა ქვეყნების რიცხობრივი მაჩვენებლის ზრდის ტენდენციები, მისი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების უსაფრთხოების პრობლემები. განხილულია რუსეთის გავლენა რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის ფორმირებაში. ნაშრომში ავტორი ეხება საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებებს და პოლიტიკურ არჩევანს და პრიორიტეტად მაინც მიიჩნევს ნეიტრალიტეტს და არა მიუმხრობლობას. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აზერბაიჯანი არის მიუმხრობელი ქვეყნების კლუბის წევრი, ხოლო საქართველოს ნეიტრალიტეტი მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც მთავარია, ნეიტრალიტეტზე თანხმობა საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების შეთანხმების შედეგი უნდა იყოს.

ჰენრი კისინჯერი, მსოფლიო წესრიგი.[17] ნაშრომში გაანალიზებულია მსოფლიო სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა. ავტორს წარმოდგენილი აქვს ოთხი კონცეფცია-ევროპული, აზიური, ისლამური და ამერიკული. კისინჯერს მიაჩნია, რათა დამყარდეს მსოფლიო წესრიგი ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონულ სტაბილურობას. აზია

---

[15] ეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრაცია ქვემო ქართლში (სომხები და აზერბაიჯანელები). სარედაქც. კოლეგია. კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბ. 2021.

[16] ალ. რონდელი, პატარა ქვეყნა საერთაშორისო სისტემაში, მეორე გამოცემა თბ.2009, საქართველო სსტრატეგიის და სერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი

[17] კისინჯერი ჰ. მსოფლიო წესრიგი, თბ. 2020.

ევროპისგან განსხვავებით ვერ იცავს ტერიტორიული სუვერენიტეტის ბალანსს და არ ხდება თანასწორობის აღიარება, რაც გამოწვეულია გეოგრაფიული, რელიგიური და კულტურული ფაქტორებით.

რედაქტორები: სალომე ასათიანი, ნინო ლეჟავა, სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე, რთული რეალობა და დიდი მოლოდინები.[18] ნაშრომი წარმოადგენს საკონფერენციო მასალების კრებულს., სადაც კომპლექსური ანალიზია სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს განვითარების ბოლო ათწლეულის მანძილზე. ყურადღება გამახვილებულია სამხრეთ კავკასიის სამოქალაქო საზოგადოების და ურბანული განვითარების მოდერნიზაციაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კრებულში შესული ლინკოლნ მიჩელის სტატია "როგორ მიდის გარდამავალი პროცესი: აშშ, დემოკრატიული განვითარება და სამხრეთ კავკასია", სადაც ავტორი განსაკუთრებით აფასებს აშშ-ს როლს რეგიონის დემოკრატიზაციის პროცესში.

ქერიმ შუკუროვი, აზერბაიჯანი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, 1648-1919 წლის დოკუმენტები და მასალები.[19] კრებულში წარმოდგენილია მდიდარი დოკუმენტური მასალა ვესტფალიის ზავიდან პოტსდამის კონფერენციამდე და 1991 წლის აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადების ჩათვლით. კრებული მნიშვნელოვნად დაგვეხმარა კვლევის პროცესში. დოკუმენტებზე დაყრდნობით აღვადგინეთ 1918-1921 წლებში არსებული საერთაშორისო მდგომარეობა სამხრეთ კავკასიის გარშემო. აზერბაიჯანსა და საქართველოს და აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც ძირითადად რეგიონის ინტეგრაციას, თანამშრომლობას ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში, და პოლიტიკური სტაბილურობას განიხილავს. კრებულში ასევე მნიშვნელოვანია აზერბაიჯან - თურქეთისა და აზერბაიჯან - ირანის შეთანხმებები.

---

[18] სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები, რედ, ს. ასათიანი, ნ. ლეჟავა. ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო, 2014.

[19] Шукюров К. АЗЕРБАЙДЖАН, В системе Международных Отношений. 1648-19191 документи и материалы Баку-„ЕЛМ“, 2020.

Chatzky A., Mcbride J- China's Massive Belt and Road Initiative.[20]

აღნიშნული ნაშრომი ეხება „ახალი აბრეშუმის გზის" შექმნის იდეას. მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: უძველესი აბრეშუმის გზა, ჩინეთის გეგმები და მოლოდინები ახალ ინიციატივასთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

Hans J. Morgenthau Politics amon Nations: The Struggle for Power and Peace[21]

ნაშრომში განხილულია საერთაშორისო პოლიტიკა. წარმოდგენილია მაგალითები მსოფლიო ისტორიიდან. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმპერიალიზმის ძალაუფლების ბუნებაზე და მასში გამოყოფს ეროვნულ ხელისუფლებასა და მისთვის დამახასიათებელ ელემენტებს.

Svante E. Cornelll, Roger N. Mcdermott, William O malley, Vladimir Socor, S. Frederick Starr „Regional Security in the South Caucasus: The Role of Nat".[22]

კვლევა ეხება სამხრეთ კავკასიაში არსებულ უსაფრთხოებას. განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: უსაფრთხოების დეფიციტი სამხრეთ კავკასიაში, გეოპოლიტიკური ინტერესები და მრავალმხრივი უსაფრთოხება, სამხედრო ვითარება სამხრეთ კავკასიაში, დასავლური უსაფრთხოების დახმარება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისათვის, პარტნიორობის როლი. ნაშრომის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს გაცემული რეკომენდაციები სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის.

სადისერტაციო თემის კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ინტერნეტრესურსები და გავაშუქეთ ქართველ, აზერბაიჯანელ, რუს და ევროპელ ექსპერტთა მოსაზრება საკვლევ თემატიკასთან მიმართებაში. აღნიშნულმა მასალებმა დიდი დახმარება

[20] ''China's Massive Belt and Road Initiative''. Chatzky A., Mcbride J. 2020.
[21] „Politics among Nations: The Struggle for Power and Peace'' Hans J. Morgenthau, 1965.
[22] ''Regional Security in the South Caucasus: The Role of Nat'' Svante E. Cornelll, Roger N. Mcdermott, William O malley, Vladimir Socor, S. Frederick Starr, 2004. p.15.

გაგვიწია, რათა უკეთესად წარმოგვედგინა ის უახლესი სამეცნიერო კვლევები, რომლებიც საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებშია განთავსებული.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადოქტორო ნაშრომი „პოსტსაბჭოთა საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობების თავისებურებები“ წარმოდგენილია A4-ფორმატში და მოიცავს 200 გვერდს.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი ძირითადი თავის, 9 ქვეთავის, ემპირიული კვლევისა და დასკვნითი ნაწილისგან, რომელშიც შეჯამებული და არგუმენტირებულად დასაბუთებულია კვლევის შედეგები. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია რეზიუმე, თითოეული თავისა და ქვეთავის მოკლე ანალიზი, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ნაშრომის ბოლოში წარმოდგენილია ბიბლიოგრაფია, რომელიც შედგება 160 წყაროსგან(მონოგრაფიები, თეორიები, ინტერნეტრესურსები)

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი I. საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების ძირითადი ისტორიული ეტაპები და თეორიული საფუძვლები (ქვეთავები: 1.1. საქართველო და აზერბაიჯანი, როგორც ბუფერული სახელმწიფოები და სამხრეთ კავკასიის რეგიონის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური აქტორები. 1.2. საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობების ძირითადი ისტორიული ეტაპები. 1.3. საქართველო და აზერბაიჯანი, როგორც სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკები).

პირველი თავი ეთმობა საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების ძირითადი ისტორიული ეტაპების თეორიულ, მეთოდოლოგიურ და ისტორიულ ჩარჩოს ანალიზს, რასაც ეყრდნობა არსებული ნაშრომი და მის ღირებულების ხარისხსაც განსაზღვრავს. კერძოდ, განმარტებულია საქართველო და აზერბაიჯანი, როგორც ბუფერული სახელმწიფოები და კავკასიის რეგიონის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფაქტორები. ამასთან, საუბარია საქართველოსა და აზერბაიჯანზე, როგორც სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებზე.

პირველი თავის პირველ ქვეთავში განხილულია საქართველო და აზერბაიჯანი, როგორც ბუფერული სახელმწიფოები და კავკასიის რეგიონის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფაქტორები. საუბარია მარტინ უაითის შეხედულებებზე, რომლის თანახმად ბუფერი იყოფა ტრიმერად, ნეიტრალებად და სატელიტებად.

ქვეყანათა შორის ურთიერთობების განმსაზღვრელად გამოვყავით მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა:

- ორივე ქვეყანა წარმოადგენს პოსტსაბჭოთა ქვეყანას და მიეკუთვნებიან მცირე ქვეყნების ჩამონათვალს.
- აქვთ ისტორიულად ჩამოყალიბებული საერთო საზღვარი (თუმცა საზღვრის ზოგიერთი მონაკვეთი დასაზუსტებელია) და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთკავშირი.
- ორივე ქვეყანა გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ თანხვედრაშია.

- საქართველოსა და აზერბაიჯანის პრობლემას წარმოადგენს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი (თუმცა, აზერბაიჯანმა ტერიტორიის ნაწილი დაიბრუნა). ამასთან, პრობლემად რჩება ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობაც.
- ორივე ქვეყანა ერთობლივად მონაწილეობს მნიშვნელოვან პროექტებში, როგორიცაა: Traceca, ბაქო-თბილისი-ყარსი, თბილისი-ბაქო-ჯეიჰანი და ა.შ.

პირველი თავის მეორე ქვეთავი ეხება საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობების ისტორიულ შესწავლასა და ანალიზს. საუბარია ორი სახელმწიფოს გეოგრაფიულ სიახლოვეზე, საერთო ბედსა და მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე. გარდა ამისა, განხილულია საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები.

საქართველოსა და აზერბაიჯანს, როგორც დემოკრატიულ რესპუბლიკებს შორის ურთიერთობა, პირველად 1918 წელს დამყარდა. 1918-1920 წლებში რესპუბლიკებს შორის ხელი მოეწერა მნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომელიც იყო სავაჭრო და თავდაცვითი ხასიათის . დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ტერიტორიული კუთვნილების (ზაქათალა) საკითხი ვერ გადაწყდა, თუმცა, დაპირისპირებაში არ გადაიზარდა რიგი პოლიტიკური პროცესებისა და გართულებული საგარეო პოლიტიკის გამო. დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე საქართველოც და აზერბაიჯანიც სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისთვის იბრძოდნენ.

1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით განისაზღვრა სახელმწიფო საზღვარი ორ ქვეყანას შორის "შავი ზღვიდან ფსოუს გასწვრივ ასახჩის მთამდე. ჩრდილოეთით-ზაქათალის ოლქამდე და აქედან აღმოსავლეთით სომხეთის საზღვრამდე." საზღვრის მონიშვნა საბჭოთა რუსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის იყო, ვინაიდან" საქართველოს ტერიტორია უნდა განთავისუფლებულიყო საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი შეიარაღებული ძალებისგან (ინგლისის ჯარები ამ დროს ბათუმში იდგნენ).

.გასაბჭოებულმა აზერბაიჯანმა, ამ ხელშეკრულების დადების გამო, პროტესტი გამოუცხადა ზაქათალის საქართველოსთვის მიკუთვნებას, ვინაიდან, მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მუსლიმებისგან შედგებოდა. პროტესტს მოყვა ზაქათალაში ქართული და აზერბაიჯანული ჯარების განთავსება და მცირე ესკალაცია, რაც რუსეთმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და აქ თავისი ჯარები განალაგა. რუსეთმა და საქართველომ 1920 წლის 12 მაისს ახალ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებისგან ერთობლივი კომისიის შექმნას, სადაც შეათანხმებდნენ ზაქათალის საკითხს. 1920 წლის 12 ივნისს აღსტაფაში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც საზღვარი ამ ორ ქვეყანას შორის გავიდა ბორჩალოს და ყაზახის მაზრის საზღვარზე. ყაზახის მაზრაში განისაზღვრა რამდენიმე ნეიტრალური ზონა, რომლის მმართველობა აზერბაიჯანის ხელში დარჩა. ეს გახდა ბოლო დოკუმენტი ამ ორ ქვეყანას შორის XX საუკუნის 20-იან წლებში, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დაიდო.

პირველი თავის მესამე ქვეთავში აღწერილია საქართველო და აზერბაიჯანი, როგორც სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკები.

1922 წლის 30 დეკემბერს საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა. ბოლშევიკებმა ძალის გამოყენებით დაიწყეს ადმინასტრაციულ-ტერიტორიული საკითხების მოგვარება, რომლის შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ავტონომიური ერთეული ჩამოაყალიბეს, რაც შემდეგ გახდა კონფლიქტის მიზეზი.

ახალშექმნილი საბჭოთა რესპუბლიკები მალევე ჩაერთვნენ სოციალისტურ ცხოვრებაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც ბოლშევიკური სახელმწიფო ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადავიდა (ნეპი) აზერბაიჯანი აქტიურად ჩაერთო და

ჩამოაყალიბეს რუსეთ-აზერბაიჯანის ბამბის ამხანაგობა, ამოქმედდა ახლი ნავთობის მომპოვებელი საწარმოები, რამაც გამოიწვია ეკონომიკის ზრდა. ნეპის პირობებში განსაკუთრებით გაძლიერდა კერძო ვაჭრობა. რასაც ვერ ვიტყვით საქართველოსა და სომხეთზე. საქართველოში მოშლილი იყო საფინანსო სისტემა, გაჩერებული იყო ფაბრიკა-ქარხნები.

საქართველოს მოსახლეობა ადვილად ვერ ურიგდებოდა ბოლშევიკურ რეჟიმს. სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი გამოსვლები დაიწყო. 1920-1921 წლებში განჯაში, ზანგეზურში, სვანეთში, დუშეთში და საბოლოოდ, 1924 წელს. თუმცა, ყველა აჯანყება წარუმატებლად დასრულდა. დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ქვეყნებს საერთაშორისო მხარდაჭერა არ ჰქონდათ.

1936 წელს ახალი კონსტიტუციის მიღებით დაიშალა ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ცალკე რესპუბლიკების სახელით შევიდბნენ სსრკ-ს შემადგენლობაში.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სსრკ-ს ჰქონდა მცდელობა თურქეთისა და ირანის დაშლის, ამ დროს ირანი აშშ-ს მხარდაჭერით სარგებლობდა, რომლის დახმარებითაც დასრულდა ირანში "აზერბაიჯანის კრიზისი. აზერბაიჯანს სსრკ მიიჩნევდა კავაკსიის უსაფრთხოების მნიშვნელოვან რეგიონად. ჯერ კიდევ 1944 წელს, ბაქოში შეიქმნა ირანის აზერბაიჯანში მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, მუსლიმთა სამმართველო. ბრიტანეთი და აშშ ყველა საშუალებით ცდილობდნენ არ დაეშვათ სსრკ-ს ზეგავლენის გაძლიერება ირანში. საბჭოთა აზერბაიჯანი გამოდიოდა მოწოდებით ერის გამთლიანების შესახებ. სსრკ-ს მთავრობამ მიიღო საიდუმლო რეზოლუცია სამხრეთ აზარბაიჯანსა და ჩრდილო ირანში სეპარატისტული მოძრაობის ორგანიზების შესახებ. ასევე დიდი ინტერესი გაჩნდა ფერეიდნელი ქართველების მიმართაც. ამ მხრივ, დაინიშნა კიდეც დიპლომატი ისპაჰანის საბჭოთა საელჩოში რომელსაც სპეციალური მისია უნდა შეესრულებინა. ფაქტმა, რომ აზერბაიჯანი გაერთიანებულიყო, იმედი ჩაუსახა როგორც ქართველ, ისე სომეხ ხალხს,

რათა შემდგომში მოეთხოვათ აზერბაიჯანისთვის ტერიტორიების რევიზია . საქმე ეხებოდა ირანის სუვერენიტეტის დარღვევას, რაც დასავლეთმა და აშშ-მ გააპროტესტა. მდგომარეობა საკმაოდ დაიძაბა. ჯარები, რომელიც ირანში ჰყავდა შეყვამნილი სსრკ-ს, გამოყვანილი იქნა ტერიტორიიდან და თეირანმა იქ თავისი უფლებები აღიდგინა.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს ეკონომიკური ვითარება შედარებით გამოსწორდა 1965-70-იან წლებში. თუმცა, ეკონომიკის განვითარება არ ისახავდა მიზნად ძირეულ, რადიკალურ გარდაქმნებს.

„ცივი ომის“ დასრულების შემდგომ საბჭოთა კავშირში ძირეული ცვლილებები დაიწყო. მიხეილ გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლით დაიწყო ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნები. საგარეო ურთიერთობაშიც მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნებოდა, კერძოდ, სსრკ-ს ჯარები გამოყვანილი იქნა ავღანეთიდან, მოხდა გერმანიის გაერთიანება. ეს პერიოდი მნიშვნელოვანი ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლების ხანა გახდა, თუმცა, თბილისი (1989წ), ბაქო (1990), ვილნიუსსა და რიგაში(1991წ) განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ იყო მზად ერების თავისუფლებისთვის. განახლდა ეთნიკური კონფლიქტი მთიან ყარაბაღში, რომლის მიზეზი გახდა სომეხთა მოთხოვნა აზერბაიჯანში შემავალი მთიანი ყარაბაღის ოლქი შეერთებინა.

თავი II. პოსტბიპოლარული სამყარო, ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი და მათი გავლენა კავკასიის რეგიონზე (ქვეთავები: 2.1. პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები 2.2. საქართველოს საგარეო ვექტორი - საგარეო პოლიტიკური არჩევანი 2.3. საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის რეგიონის ჭრილში).

მეორე თავში განხილულია პოსტბიპოლარული სამყარო, ახალი მსოფლიო წესრიგი და ურთიერთობები კავკასიის რეგიონში. საუბარია პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებზე და პრინციპებზე, საქართველოს

საგარეო ვექტორზე და დასავლურ პოლიტიკურ არჩევანზე. ამასთანავე, განხილულია საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები კავკასიის რეგიონის კონტექსტში.

მეორე თავის პირველი ქვეთავი ეხება პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებსა და პრინციპებს. აქცენტი გაკეთებულია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ევროატლანტიკურ, ევროპულ სტრუქტურებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე, თავდაცვისა და უსაფრთხოების განმტკიცებაზე.აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის კონტურები განსაკუთრებით ჰეიდარ ალიევის მმართველობის დროს გამოიკვეთა. აიაზ მუტალიბოვისა და აბულფაზ ელჩიბეის მმართველობა იყო რთული პერიოდი. დამოუკიდებელი ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა ორიენტირი რუსეთისკენ აიღო. ის თვლიდა, რომ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებში მხოლოდ მას შეეძლო მთავარი არბიტრის როლი შეესრულებინა, მაგრამ მუტალიბოვის პრორუსულმა პოლიტიკამ, წარუმატებელმა ოპერაციამ ყარაბაღში და ხოჯალათის ტრაგედიამ, საზოგადოების პროტესტი და ოპოზიციის გააქტიურება (სახალხო ფრონტი) გამოიწვია, რაც ხელისუფლების ცვლილებით დამთავრდა. ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა აბულფაზ ელჩიბეიმ საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებისას, აქცენტი თურქეთზე გააკეთა, რამაც რუსეთისა და ირანის გაღიზიანება გამოიწვია. აზერბაიჯანიდან გაწვეული იქნა რუსული სამხედრო ბაზები და დსთ-ში შესვლაზეც უარი იქნა გაცხადებული.აზერბაიჯანს დამოუკიდებლობის მშენებლობის გზაზე თურქეთი სერიოზულ დახმარებას უწევდა, ჯარის მშენებლობაში, რომლის არსებობასაც დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველ წელს ფართოვდებოდა აზერბაიჯან-თურქული სამხედრო თანამშრომლობა, რამაც დიდი როლი ითამაშა ოფიცრების მომზადებაში აზერბაიჯანის არმიისათვის. ჩატარდა სწავლებები და გამყარდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ნატოს სტანდარტებს შეესაბამისება .

აზერბაიჯანმა პოსტსაბჭოთა პერიოდში წარმატებით განახორციელა სახელმწიფო ინტერესები, მოხდა ეკონომიკის განვითარება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის

აღდგენა. თუმცა ბოლომდე ვერ შეძლო ქვეყანამ თავისუფალი ბაზრის არსებობის შენარჩუნება

მეორე თავის მეორე ქვეთავში დეტალურად განხილულია საქართველოს საგარეო ვექტორი და დასავლურ პოლიტიკური არჩევანი. ამავე დროს აქცენტი გაკეთებულია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სურვილზე, რასაც შემდგომში ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიცემა მოჰყვა. დასავლური პოლიტიკური ვექტორის არჩევის მიზეზი იყო ეკონომიკური ფაქტორი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სურვილი და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გარდა ფინანსურისა, ევროკავშირი მხარს უჭერდა ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. ამის დასტური იყო ,,ევროკავშირის პოზიცია ეუთოს ბუდაპეშტის (1994) და ლისაბონის (1996) სამიტებზე, სადაც დოკუმენტურად აღიარეს ეთნიკური წმენდა აფხაზეთისა და ისტორიულ შიდა ქართლში ე.წ.“სამხრეთ ოსეთში“.განხილულია ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების ისტორიული და პოლიტიკური საფუძვლები, 2008 წლის ომის შედეგები,კერძოდ აგვსტოს ომით მოხდა საქართველოს ერთ- ერთი მნიშვნელოვანი კოდორის ხეობის დაკარგვაც, რომელიც აფხაზეთის ომის შემდგომ ქართული მხარის მიერ კონტროლდებოდა მთელი 15 წლის განმავლობაში. ევროკავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულებაში. მისი ინტენსიური დიპლომატიური ქმედებებიდან გამომდინარე, მოხდა აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების მიღება. 1) ძალის გამოყენებაზე უარის თქმა. 2) საბრძოლო ქმედებებზე უარის თქმა. 3) ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა. 4) საქართვლოს შეიარაღებული ძალების დაბრუნება. 5) რუსეთის შეიარაღებული ძალების დაბრუნება სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ უსაფრთხოების დამატებითი ზომების განხორციელება. 6) საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ. ამასთან, პროცესში ჩაერთო ევროპული

უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) სამოქალაქო მისია და ევროკავშირის დამკვირვებელთა მისია (EUMM). 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ევროკავშირი მიხვდა, რომ თავისი პასიური გეოპოლიტიკით დიდი რისკის ქვეშ აყენებდა რუსეთთან პირისპირ დარჩენილ რეგიონის ქვეყნებს. დღის წესრიგში დადგა ქვეყნებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის ახალი ფორმატის შექმნა. 2010 წლის ივლისში საქართველომ და ევროკავშირმა დაიწყეს მოლაპარაკება ასოცირების შეთანხმებაზე, ხოლო საუბარი ეკონომიკურ ნაწილზე მოგვიანებით დაიწყო და დასრულდა 17 თვეში, 2013 წლის ივლისში. 2013 წლის ნოემბერში ვილნიუსში განხორციელდა ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მიხედვით.2014 წლის 4-5 სექტემბერს NATO-ს სამიტზე, რომელიც შედგა უელსში, დამტკიცდა საქართველოსთან ,,გაძლიერებული თანამშრომლობის“ ფორმატი, სადაც გათვალისწინებულია ყოველმხრივი დახმარება. ამ დოკუმენტით ირკვევა, რომ საქართველოსა და NATO-ს ურთიერთობა ახალ დონეზე გადადის და შეიცავს მთელ რიგ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს.

საქართველოს ხელისუფლებაში „ ქართული ოცნების“ მოსვლით დადგა საკითხი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების, რასაც საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მოყვა. 2013 წლის 23 ოქტომბერს ევროპარლამენტმა რეზოლუციაში აღნიშნა, რომ ევროსაბჭო მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების სწრაფვას რუსეთთან დაძაბულობის აღმოფხვრის გზაზე, რაც პარალელურად ევროპასთან ინტეგრაციის კურსის შენარჩუნების საშუალებასაც აძლევს.აღსანიშნავია, რომ აბაშიძე-კარასინის ფორმატის დამსახურებით, რუსეთის მხრიდან წინააღმდეგობა ან სერიოზული პოლიტიკური ზეწოლა არ მოჰყოლია იმ ფაქტს, რომ საქართველომ ხელი მოაწერა ევროსაბჭოს ასოციაციის ხელშეკრულებას. ევროინტეგრაციის გზაზე მყოფი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ვიზალიბერალიზავიის ამოქმედება 2017 წლის 28 მარტიდან . საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე, უვიზო მიმოსვლის შემოღება

მნიშვნელოვანია, ეს კიდევ უფრო გვაახლოებს ევროპასთან. ეს ქმედება ადასტურებს, რომ ევროკავშირი თავისი დანაპირების ერთგული და სანდო პარტნიორია, რაც საქართველოს მთავრობისთვისაც დამატებითი ბიძგის მიმცემია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო თანამეგობრობასთან და ატარებს ფრთხილ პოლიტიკას საგარეო კუთხით, რაც კარგად წარმოჩინდა რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების ფონზე.

მეორე თავის მესამე ქვეთავში მიმოხილულია საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობები, მათი ურთიერთობის მნიშვნელობა თურქეთთან. ყურადღება გამახვილებულია სტამბოლში სამიტზე ,,ხელმოწერილ ევროპული უსაფრთხოების ქარტიასა“ და შეთანხმებაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის თაობაზე. ამასთანავე, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის არსებულ ყარაბაღის ომზე.

1992 წელს 18 ნოემბერს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა. ცოტა მოგვიანებით, 1995 წელს ბაქოში გაიხსნა საქართველოს საელჩო, ხოლო აზერბაიჯანის - თბილისში 1996 წელს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ორ მნიშვნელოვან დოკუმენტს -უსაფრთხოების თანამშრომლობასა და მშვიდობის დეკლარაციას კავკასიის რეგიონში. ორივე ქვეყანამ მთელი ყურადღება გადაიტანა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე.

XXს-ს ბოლოსა და XXI ს-ს დასაწყისში საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებითა და საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით მნიშვნელოვან პროექტებს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს ითალისწინებს.1999 წლის 17 ნოემბერს სტამბოლში გამართულ ეუთოს სამიტზე ,,ხელი მოეწერა ევროპული უსაფრთხოების ქარტიას“. ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვასთან ერთად გაფორმდა შეთანხმება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის თაობაზე. ცერემონიალს ესწრებოდა აშშ-ს

პრეზიდენტი ბილ კლინტონი, რომელმაც აღნიშნა, რომ 1999 წელს მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ნავთობსადენებთან დაკავშირებული პროცესის წარმატებით დასრულება.

თურქეთის ინიცირებით, 1992 წლის 25 ივნისს საფუძველი ჩაეყარა მნიშვნელოვან პროექტს - შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობას (BSEC), რომელმაც თერთმეტი ქვეყნის გაერთიანება შეძლო, როგორიცაა: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, რუმინეთო, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა, მოლდოვა და სერბეთი (2004 წელს შეუერთდა პროექტს) აღნიშნული გაერთიანების მთავარი მიზანი იყო რეგიონის გაძლიერება, ეკონომიკური განვითარება, სტაბილურობა.ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელსაც აშშ-ს მხარდაჭერით ევროკავშირმა საფუძველი ჩაუყარა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროექტების განვითარებას წარმოადგენს "სამხრეთ გაზის დერეფანი". პროექტმა უნდა უზრუნველყოს ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირება. პროექტის ფარგლებში ფართოვდება საქართველოზე გამავალი გაზსადენიც, ასევე შენდება ტრანსადრიატიკული გაზსადენი (TAP), რომელიც TANAP-ის გაგრძელებაა.

გარდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტებისა და პოსტსაბჭოთა პერიოდში ორ ქვეყანას შორის დამყარებული მრავალმხრივი ურთიერთობებისა, რომელიც საერთაშორისო მხარდაჭერით არის დაბალანსებული, არსებობს ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის ესკალაციის საბაბს წარმოადგენს. საკითხი ეხება 480 კილომეტრიან საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციას და დავით გარეჯის სამონასტორო კომპლექსის კუთვნილებას, რომლის გადაწყვეტა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა.ისტორიკოსები საუბრობენ ჰერეთზე, რომლის ნაწილი მოხვედრილია დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. საისტორიო წყაროები, მოგზაურთა ჩანაწერები, თავად რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ შედგენილი რუკებით დასტურდება, რომ ზაქათალა, კახი და ბელაქანი, საინგილო საქართველოს ისტორიული ტერიტორიებია. რა თქმა უნდა, ეს ისტორიული ნარატივი მიუღებელია აზერბაიჯანული მხარისთვის, რომელსაც ბოლშევიკურმა რუსეთმა

ოფიციალურად გადასცა საქართველოს ისტორიული მიწები (1924წ). დავით გარეჯის პრობლემასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გამოაქვეყნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ 2020 წელს, სადაც მოკლე ისტორიული მიმოხილვა წარმოადგინა .

თავი III. საქართველო და აზერბაიჯანი, როგორც სტრატეგიული პარტნიორები და მათი ურთიერთობები რეგიონულ უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ენერგეტიკულ პროექტებში (ქვეთავები: 3.1. საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობები 3.2. ენერგეტიკის პროექტები და დიდი აქტორების ინტერესები 3.3. საქართველოსა და აზერბაიჯანის სოციალურ-კულტურული თანამშრომლობის გავლენა ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესებაზე).

მესამე თავში საუბარია საქართველოსა და აზერბაიჯანზე, როგორც სტრატეგიულ პარტნიორებზე და მათ ურთიერთობებზე რეგიონული უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული პროექტების თვალსაზრისით. ამასთან, განხილულია საქართველო-აზერბაიჯანის სოციალური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობები.

მესამე თავის პირველი ქვეთავში შესწავლილია საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობები. აღნიშნულია, რომ XX საუკუნის ბოლოსთვის განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა გარკვეული გავლენა იქონია საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკაზე. ამ ყველაფრის ფონზე საქართველომ და აზერბაიჯანმა განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკა არჩიეს, რაც გამოიხატა საკუთრებაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლასა და მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაციაში.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც გაფორმდა „საუკუნის კონტრაქტი“ 1994 წელს აზერბაიჯანის ნავთობკომპანიასა და მსოფლიოს

ცხრა ქვეყნის თერთმეტ მსხვილ ნავთობკომპანიას შორის. სწორედ აღნიშნული კონტრაქტის ფარგლებში განხორციელდა საქართველო-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ორი საექსპორტო ნავთობსადენის პროექტი ბაქო-სუფსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი.1996 წლიდან საქართველოსთვის დაიწყო მნიშვნელოვანი ეტაპი, ხელი მოეწერა ბაქო-სუფსას დერეფნის მშენებლობის შეთანხმებას. საქართველომ დაიბრუნა ისტორიული სატრანზიტო როლი.

1997 წლიდან შეიქმნა ახალი იურიდიული ბაზა საქართველოში, რომელმაც ორმხრივი ურთიერთობის გაფართოებას მისცა საშუალება ეკონომიკური მიმართულებით. იგი ორიენტირებული იყო სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ თანამშრომლობის ხელშეწყობასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. სისტემატურად ხდებოდა ნორმატიული ბაზის გადახედვა და კორექტირების შეტანა, რათა შესაბამისობაში მოსულიყო პრაქტიკულ რეალობასთან.

1998 წელს აზერბაიჯანი და საქართველო გახდნენ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრები. აზერბაიჯანისა და საქართველოს სწრაფვა, რომლებიც ორიენტირებულები იყვნენ ეკონომიკურ და ენერგეტიკულ თანამშრომლობაზე, აიხსნებოდა მრავალხმრივი ორგანიზაციებისადმი დაინტერესებით. ისინი იმედოვნებდნენ დამატებით ყურადღებას დასავლეთის ქვეყნების მხრიდან და სამომავლოდ მათ მხარდაჭერას რუსეთთან მიმართებაში.საქართველოს და აზერბაიჯანს სერიოზული წინსვლა აქვთ ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობის სფეროსა და პერსპექტივაში. უფრო მეტიც, მოსალოდნელია აღნიშნული მიღწევების გაფართოვება. საქართველომ და აზერბაიჯანმა უნდა იზრუნონ შესაძლებლობების მაქსიმალურად ათვისებაზე, მით უფრო, რომ საკმარისი პოტენციალი გააჩნიათ მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.

საქართველო აზერბაიჯანთან მიმართებაში მიზანმიმართულად ცდილობს პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას. ამას გარდა, მსხვი-ლი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას რეგიონში, რომელსაც ექნება როგორც ეკონომიკური

მოგება, ასევე რეგიონში უსაფრთხოების ფუნქციის გამყარების მნიშვნელობაც. ამდენად, ყველაფერს აკეთებს საქართველოს ხელისუფლება სიმშვიდისა და სტაბილურობისათვის.როდესაც განვიხილავთ საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებს, აუცილებლად ყურადღება უნდა მივაქციოთ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს და მისი განვითარების თანამედროვე ტენდეციებს. ძირითადი ტენდეცია კი გლობალიზაციაა, რომელიც აყალიბებს თანამედროვე მსოფლიო წესრიგს და განსაზღვრავს ახალი თამაშის წესებს. დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობა მჭიდროა. იგი დამყარებულია ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი გაზის იმპორტზე, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტზე, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ქიმიური მრეწველობის ექსპორტზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ექსპორტისა და იმპორტის სავაჭრო პარამეტრები შემცირებულია, იზრდება მხოლოდ რეექსპორტი.

მესამე თავის მეორე ქვეთავი საუბარია ეკონომიკურ ურთიერთობებზე საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე ენერგეტიკის სფეროში, რადგან აზერბაიჯანი თავის საექსპორტო საქონელის ნახევარზე მეტს მსოფლიო ბაზარზე აწვდის მილსადენით, რომელიც გაივლის საქართველოს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის გეოგრაფიული მდებარეობა ევროპისა და აზიისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოს უდიდესი ბაზრებისა და რეგიონების დასაკავშირებლად. კერძოდ, კასპიისა და შავი ზღვის პორტები, სარკინიგზო და საავტომობილო სისტემა, აეროპორტები, ნავთობისა და გაზის მილსადენები.ენერგეტიკული პროექტები რეგიონში ვითარდება აზერბაიჯანის ნახშირწყალბადების რესურსების ირგვლივ. ამიტომაც დიდია ინტერესი რეგიონის მიმართ ისეთი მოთამაშეებისა, როგორიც არის აშშ, ევროკავშირი, თურქეთი და რუსეთი. აზერბაიჯანმა კი შეიმუშავა თავისი ენერგეტიკული სტრატეგია სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში, დაფუძნებული თავის ენერგოუსაფრთხოებაზე, რომელიც ითვალისწინებს ექსპორტს ნავთობისა და ბუნებრივი გაზის კასპიის ბასეინიდან

საერთაშორისო ბაზარზე რუსეთის შემოვლით. აღსანიშნავია, რომ ყაზახეთი უმდიდრესია ნავთობით, თურქმენეთი ბუნებრივი გაზით და აზერბაიჯანი მდიდარია როგორც ნავთობით, ასევე გაზით.

დღეს აზერბაიჯანი სამი ძირითადი ინტეგრაციის ინიციატივის პლატფორმის ცენტრშია - ევროკავშირი, ევრაზიული ეკონომიკური კავშირი და ახლახან დაარსებული BRI (,,ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივა), რომელსაც მხარს უჭერს ჩინეთი. სამივე ინიციატივა მიმართულია აზერბაიჯანისკენ. მიუხედავად ამისა, ბაქო დაინტერესებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნით, როგორც ევროკავშირთან დაახლოების გზით. ამგვარად, ბაქოს მეტი მხარდაჭერა დასჭირდება სატრანსპორტო ინიციატივებისთვის და მეტი ევროპული ჩართულობა ეკონომიკურ პროექტებში. აზერბაიჯანი ამჟამად აშენებს გაძლიერებულ პორტს ალიატში ე.წ. „კასპიის სამკაულში“ - რომელიც მოიცავს საზღვაო პორტს, საერთაშორისო ლოჯისტიკურ ცენტრს და თავისუფალ ეკონომიკურ ზონას.

აზერბაიჯანი და საქართველო აქტიურად უჭერდნენ მხარს მილსადენ პროექტებს, რომელსაც სთავაზობდა დასავლეთის ქვეყნები. საუბარია ნავთობსადენზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, გაზოპროსადენზე ბაქო-თბილისი-ერზრუმი. 2002 წელს ევროპა სთავაზობდა ახალ პროექტს (,,ნაბუკო’’) გაზპროსადენს, რომელიც გულისხმობდა ენერგოკორიდორის ახალ ფორმირებას რუსეთის გვერდის ავლით. ერთადერთი წყარო უნდა გამხდარიყო აზერბაიჯანის ქვანახშირის რესურსი.დასავლეთის ქვეყნები დიდ როლს ანიჭებდნენ საქართველოს, რომლის ხელისუფლება ატარებდა ეკონომიკური თანამშრომლობის კურსს აშშ-სთან. საქართველოს როლი სატრანზიტო მდგომარეობაა, რომელიც იძლევა პროექტების რეალიზების საშუალებას. ამ პროექტების ინვესტიციას ახდენდა თურქეთი, ხოლო დასავლეთის ქვეყნების იყო საგარეო მხარდაჭერა. მარშრუტების შერჩევის ირგვლივ ხშირად იმართებოდა ბრძოლები, შეიქმნა გეოპოლიტიკური კონკურენცია რეგიონში. სამხრეთ კავკასია გახდა გეოპოლიტიკური ინტერესების კვეთის ობიექტი მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის.ევროკავშირთან

დაახლოებასა და მასთან თანამშრომლობას წარმოადგენს 2017 წელს თბილისში ჩატარებული რეგიონული ენერგეტიკული სამიტი. სამიტს ესწრებოდნენ აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის წარმომადგენლები. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ენერგეტიკის განვითარებასთან დაკავშირებული გამოცდილება. განიხილეს ენერგო ბაზრებზე თანამშრომლობის საკითხები. სამიტის ორგანიზატორი იყო საქართველოს ენერგეტიკის სამინისტორო, ხოლო მხარდამჭერ ორგანიზაციებს წარმოადგენდა G4G, USAID-ი და ევროკავშირის EU4ENERGY.

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები ერთ-ერთი საკვანძოა რეგიონულ პოლიტიკაში და სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, საქართველო და აზერბაიჯანი მნიშვნელოვან დერეფანს წარმოადგენენ ევროპისთვის ენერგორესურსების მიწოდებაში.

მესამე თავის მესამე ქვეთავში საუბარია საქართველოსა და აზერბაიჯანის სოციალურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობებზე. ამ ორ ქვეყანას მჭიდრო კულტურული ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ საუკუნეების მანძილზე.

რუსეთის ცარიზმის მერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, ქალაქი თბილის იქცა ამიერკავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად. განათლებულმა და მოაზროვნე კავკასიელებმა თბილისს მოაშურეს. უნდა აღვნიშნოთ აზერბაიჯანელი პოეტი და განმანათლებელი მირზა შაფი ვაზეჰი,მირზა ფათალი ახუნდოვი,დიდ ყურადღებას იმსახურებს ყუბან საიდის კავკასიური „რომეო და ჯულიეტად“ მონათლული „ალი და ნინო“, რომელმაც ერთიანად მონუსხა ყველა. რომანი აზერბაიჯანელი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლის ალისა და ქართველი თავადის ასულის სიყვარულის ისტორიაა. ნაწარმოების გეოგრაფიული არეალი საკმაოდ დიდია-ბაქო, თბილისი, თეირანი და იგრძნობა ეპოქის მაჯისცემა, ამ ქალაქების ეროვნული, რელიგიური თავისებურებები.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებზე, რომლებიც დღესდღეობით ყველაზე მრავალრიცხოვანი

ეთნიკური ჯგუფია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 233 024 ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 6.3 %-ია. საქართველოში აზერბაიჯანელების რეგიონული გადანაწილება ძირითადად ოთხ რეგიონშია კომპაქტურად დასახლებული, ესენია: ქვ. ქართლი, კახეთი, შიდა ქართლი, კერძოდ მცხეთა-მთიანეთში. პროცენტულად ისინი ყველაზე დიდი რაოდენობით(41,75%) ქვემო ქართლში სახლობენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰეიდარ ალიევმა დაარსა მამის-ილჰამ ალიევის ფონდი, რომელმაც უამრავი პროექტი განახორციელა საქართველოში - კერძოდ, გარდაბანში, მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში. კერძოდ, ააშენეს და გაარემონტეს სკოლები, ბაღები, საგანმანათლებლო ცენტრები იქ, სადაც კომპაქტურად არიან დასახლებული ეთნიკური აზერბაიჯანელები. ასევე სახელმძღვანელოებით ეხმარებიან სკოლის მოსწავლეებს. 2006 წლიდან საქართველოში დაიწყო მოღვაწეობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია Socar-მა, რომელიც საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. ეხმარება სოციალურად დაუცველებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. პანდემიის დროს სოციალურად დაუცველ პირებს დაურიგა სასურსათო პაკეტები, განსაკუთრებით, კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურად აზერბაიჯანელებს (გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებულ მეჩეთებს უფასოდ აწვდის ბუნებრივ აირს. უმაღლესი ქულის მქონე სტუდენტებს გადასახადს უხდის უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოსახლეობას ტოლერანტობის, მშვიდობიანი და სოლიდარული თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებთ. ამიტომაც სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებს წარსულს და აგრძელებს ტრადიციას.2002 წელს საყოველთაო აღწერა ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 30% ფლობდა სახელმწიფო ენას. 2014 წელს, აზერბაიჯანელი მოქალაქეების 74,4% თავისუფლად ვერ საუბრობდა ქართულად, რაც ქმნიდა მთელ რიგ პრობლემებს, აზერბაიჯანელების საზოგადოებაში ინტეგრირების თვალსაზრისით. სახელმწიფომ

მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა ამ მიმართულებით. სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებულმა ღონისძიებებმა ბოლო წლებში კომპლექსური და სისტემური ხასიათი მიიღო როგორც მეთოდოლოგიურად, ისე აქტორების ჩართულობით. განათლების ყველა დონეზე შეიქმნა ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობები და სამართლებრივი გარანტიები. ენის სწავლება ხდება სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული უმაღლეს განათლების დონეებამდე. დღესდღეობით, ქართული ენის სწავლების კურსები ყველასთვის ხელმისაწვდომია, განუსაზღვრელად ასაკისა და პროფესიისა.

აზერბაიჯანში მოსახლეობის უმრავლესობას აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, მაგრამ სხვა მცირერიცხოვან ეროვნულ უმცირესობებში ეთნიკური ქართველებიც არიან. მოსახლეობის ბოლო 2009 წლის აღწერის მიხედვით, აზერბაიჯანში 14877 ქართველი ფიქსირდება. რომლებიც ძირითადად კახის, შემდეგ ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში ცხოვრობენ. აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები ქართველები ერთმანეთისგან რელიგიური აღმსარებლობით განსხვავდებიან. კახის რაიონში ცხოვრობენ ქრისტიანი ინგილოები, ხოლო ზაქათალასა და ბელაქანში-მუსლიმი ინგილოები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იქ სადაც მუსლიმი ინგილოები ცხოვრობენ, მთელ რიგ სოფლებში ქართულად აღარ მეტყველებენ, სახელი და გვარებიც შეცვლილი აქვთ. თუმცა, იქ სადაც მუსლიმი ქართველები ქართულად მეტყველებენ, მეტად სალიტერატურო ქართულით საუბრობენ, ვიდრე ინგილო ქრისტიანები.

ქალაქ კახსა და მის შემოგარენ ქართულ სოფლებში სულ შვიდი ქართული სკოლაა. იკვეთება მთელი რიგი პრობლემები, კერძოდ, ინფრასტრუქტურის, ინვენტარის, ქართული ლიტერატურისა და ენის სახელმძღვანელოების სიმწირე. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები, რომელთა გამოცემა ხდება აზერბაიჯანში, სადაც საქართველოს შესახებ არასწორი ინფორმაციაა მოცემული. ქართველები იხსენიებიან ალბანელებად, რომლებმაც აზერბაიჯანის გარკვეული ტერიტორიები დაიპყრეს: კახის, ზაქათალის, ბელაქანის და სწორედ მათი შთამომავლები არიან დღევანდელი ინგილოები. სამწუხაროდ, არცერთი ქართული

სკოლა არ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს, შენობები ძალიან ძველია და ზოგიერთი მათგანი დანგრევის პირასაა. გარდა რთული გარემო პირობებისა, ქართული სკოლის მოსწავლეებს სხვა პრობლემებიც ექმნებათ. ჩვენ მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ამჟამად სრულად ორი ქართული სკოლა ფუნქციონირებს, რომელიც შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. ამ სკოლებს საქართველოს განათლების სამინისტრო ამარაგებს სახელმძღვანელოებით. დანარჩენი ხუთი სკოლა ინტეგრირებულია. აღნიშვნის ღირსია, რომ ჩვენ მიერ გამოკვლეულ ორ ქართულ სკოლაში სწავლის ხარისხი საკმაოდ მაღალია. პრობლემები დასაქმების კუთხითაც იკვეთება. ერთადერთი ადგილი, სადაც საქმდებიან ქართველები, ეს არის ქართული სკოლები და სამედიცინო პუნქტები. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პრობლემები კახის რეგიონში, ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოების შეთანხმებით უნდა მოხდეს საკითხის დარეგულირება. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ 2017 წელს ჩამოყალიბდა ქართულ-აზერბაიჯანული საზოგადოებრივ-კულტურული ურთიერთობის ხელშეწყობისა და განვითარების ფონდი. ვინაიდან საქართველომ ხელი მოაწერა ევროსაბჭოს ერთ-ერთ ძირითად კონვენციას- რეგიონული და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიას - იგი ყველა საშუალებით ცდილობს ვალდებულების შესრულებას, რათა მოხდეს უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშემწყობა ლინგვისტური, საგანმანათლებლო და კულტურული კუთხით. საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწია.

განხილული მასალის ანალიზი საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში და კერძოდ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან ინტეგრაციისთვის საქართველოს სახელმწიფო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. აზაერბაიჯანმა მიიღო გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის დებულებათა კანონმდებლობა(რომელიც ითვალისწინებს დისკრიმინაციის ბრძოლით აღმოფხვრას ისეთ სფეროებში, როგორიცაა დასახლება, განათლება და დასაქმება) თუმცა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურები ჯერ კიდევ არ დაწყებულა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კომიტეტმა გამოთქვა კიდეც შეშფოთება უმცირესობათა ენების მხარდასაჭერ ან

ინტერკულტურული განათლების ხელშეწყობის პროგრამების ნაკლებობაზე. ვფიქრობთ, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის პოზიტიურ ჭრილში წარმართვისთვის კარგი იქნება აზერბაიჯანში მცხოვრებ ეთნიკური ქართველების სოციალ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და რელიგიური მდგომარეობის გაუმჯობესება ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან .

ემპირიული კვლევა

საკვლევ თემასთან დაკავშრებით ჩატარდა ემპირიული კვლევა,რომლისთვისაც განისაზღვრა საკვლევი კითხვები და შეირჩა ექსპერტები.

საკვლევი შეკითხვები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ:

1. როგორი იყო საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობები ისტორიულ ჭრილში?
2. როგორი თავისებურებებით ხასიათდება საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობები?
3. რა გამოწვევები აქვს თანამედროვე ეტაპზე ორი ქვეყნის ურთიერთობებს?
4. რა პერსპექტივები აქვს საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებს?

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებისგან მივიღეთ განსხვავებული და ამომწურავი ინფორმაცა. დადასტურდა ნაშრომის ჰიპოთეზა. ექსპერტების თანახმად, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს და აზერბაიჯანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას დიდი პერსპექტივა აქვს: მხარეებმა შეიძლება მიაღწიონ მნიშვნელოვან და სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას. ინტენსიურად აამუშაონ სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფანი, განავითარონ მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. საქართველომ და აზერბაიჯანმა უკვე დაამტკიცეს, რომ კულტურული და რელიგიური განსხვავება არ უშლის ხელს ხალხების მეგობრობას და თანამშრომლობას. საჭიროა, ამ დიდი მონაპოვარის შენარჩუნება და განვითარება.

დასკვნა

პოსტსაბჭოთა საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების კვლევამ დაადასტურა კვლევის ჰიპოთეზა, გაიცა პასუხი საკვლევ კითხვებზე, ჩამოყალიბდა კონკრეტული რეკომენდაციები ორმხრივი ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებასთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანია რეგიონის სტაბილურად განვითარების თვალსაზრისით. უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში არსებული თეორიები ალიანსებისა და პატარა ქვეყნების შესახებ სრულიად ვერ ახსნის საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიული ხედვებსა და პოლიტიკური პრიორიტეტებს.

კვლევის შედეგად მოხდა შემდეგი ჰიპოთეზის დადასტურება - ისტორიულად სამხრეთ კავკასიის ორი ქვეყნის, საქართველოსა და აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კავკასიის რეგიონის საკვანძო ქვეყნებს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი საგარეო პოლიტიკა მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ურთიერთობები მაინც პოზიტიურ ჭრილში მიმდინარეობს და სტრატეგიული თანამშრომლობით გამოირჩევა. თუმცა იდენტიფიცირებულია რიგი გამოწვევები. მათი გადაჭრა ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას და მათი როლის გაზრდას როგორც რეგიონულ უსაფრთხოების, ისევე საერთაშორისო სტაბილურობის უზრუნველყოფაში.

საქართველოსა და აზერბაიჯანში საბჭოთა კავშირის დაშლისა და „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ არსებითად იცვლება ვითარება. დაიწყო რთული პერიოდი, სახელმწიფოები ცდილობდნენ არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე რაციონალური ფორმულა შეექმნათ საგარეო პოლიტიკისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის არსებობს რადიკალური განსხვავებები

(რელიგიური, ეთნიკური, ღირებულებითი), დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ გამოკვეთილ გამოწვევებთან (ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და რეგიონული ინტეგრაციის საკითხები) გამკლავება ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავების საწინდარი გახდა. ამავე დროს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. აზერბაიჯანმა მეტ-ნაკლებად თავი გაართვა ამ საკითხს და ყარაბაღში წარმოებული ომების შედეგად მოახერხა თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ ერთგვარი მედიატორის როლიც კი იკისრა.

სამხედრო კონფლიქტის აქტიური ფაზა დაიწყო 2020 წლის 27 სექტემბერს. როგორც ყველა წინა შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებდნენ ცეცხლის გახსნაში. მიუხედავად ამ საინფორმაციო ომისა, ჩამოყალიბდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ სინამდვილეში აზერბაიჯანმა დაიწყო სამხედრო კამპანია, რომლის მიზანი იყო კონსტიტუციური წესრიგისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენა.

კონფლიქტი გაგრძელდა დაახლოებით თვე-ნახევრის განმავლობაში. იგი იყო ინტენსიური ხასიათის, მოიაზრებდა როგორც სახმელეთო, ისე საარტილერიო და საჰაერო კომპონენტებს, ხოლო ფრონტი გაშლილი იყო საკმაოდ ვრცელ არეალზე. ომმა აჩვენა, რომ სომხეთისა და ე.წ. „არცახის“ არმიას არ ჰყოფნიდა არც შეიარაღება, არც მოდერნიზება, არც რაოდენობა და, ზოგ შემთხვევაში, არც კომპეტენცია, გამკლავებოდა მოწინააღმდეგეს. მიუხედავად იმისა, რომ უამრავმა მებრძოლმა მაღალი სამხედრო მორალი აჩვენა, ეს საკმარისი ვერ აღმოჩნდა რამდენიმე ასეულ კილომეტრზე გაშლილი ფრონტის პირობებში მოწინააღმდეგეს შესაკავებლად, თუნდაც, ხელსაყრელი გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით.

სწორედ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, აზერბაიჯანის არმიამ, მიუხედავად იმისა, რომ ვერ შეძლო ბლიცკრიგი, მაინც მოახერხა ბრძოლით

დაეკავებინა ფიზული, ჯაბრაილი, ჰადრუტი, ზანგილანი, ლაჩინის სიმაღლეები, წითელი ბაზარი და შუშა. ქალაქ შუშას აღება 2020 წლის 9 ნოემბერს აღმოჩნდა კონფლიქტის ცხელი ფაზის დასრულების განმაპირობებელი. შუშას დაცემას ჰქონდა მრავალგვარი დატვირთვა: პირველ რიგში, გასათვალისწინებელია შუშას მდებარეობა: იგი მთიანი ყარაბაღის მთავარი ქალაქიდან, სტეფანაკერტიდან დაახლოებით 10 კილომეტრითაა დაშორებული.

საბოლოო ჯამში, კონფლიქტის სამხედრო კომპონენტში წარმატებას აზერბაიჯანმა მიაღწია და, მიუხედავად საკმაო დანაკარგისა, გამარჯვება მან იზეიმა. სწორედ 9 ნოემბრის ამ მოცემულობაში გაფორმდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ის შეთანხმება, რომელმაც დაასრულა მისი ცხელი ფაზა.

შეიძლება ითქვას, რომ ყარაბაღის მესამე ომი მსოფლიო ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე სწრაფი ომი, რომელშიც გამარჯვება 24 საათში იქნა მიღწეული. თავიდანვე ცხადი ჩანდა, რომ უზარმაზარი სამხედრო-ტექნოლოგიური უპირატესობის გამო, განსაკუთრებით მას მერე, რაც სომხეთმა განაცხადა, რომ მისი თავდაცვის ძალები არ ჩაერთვებოდნენ სამხედრო კონფლიქტში, აზერბაიჯანი მიზანს - მთიანი ყარაბაღის კაპიტულაციას, მოკლე დროში მიაღწევდა, სადაც მან 29 წლის შემდეგ ომით წაგებული ომში გამარჯვებით დაიბრუნა.

რაც შეეხება საქართველოს, მის წინაშე კვლავ დგას საკითხი მწვავედ აფხაზური და ოსური კონფლიქტების გამო, პრობლემის მოსაგვარებლად დიალოგის კუთხითაც კი არ გადაგმულა ნაბიჯი.

აგვისტოს ომის დასრულების შემდეგ, 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება მოხდა, რასაც ემსხვერპლა ასობით მოქალაქე და განადგურდა ათეულობით ქართული სოფელი, ასევე სახეზე იყო ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი.

ამჟამად ცხინვალის რეგიონში-ე.წ."სამხრეთ ოსეთში" რუსეთის გავლენით ინტენსიურად ხდება მავთულხლართებისა და ხელოვნური ბარიერების აღმართვა. ამასთანავე, ხშირია ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის" ბრალდებით დაკავებულ პირთა ფაქტები, რომლებიც არცთუ იშვიათად სავალალოდ სრულდება.

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის გამყარებას განაპირობებს გლობალიზაციისა და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების პროცესი, ვინაიდან ეს ორი ქვეყანა მსოფლიოს გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სტრატეგიის ინტერესების არეალშია მოქცეული. რუსეთის გავლენის დაბალანსირება რეგიონში ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით ორივე ქვეყნის ფრთხილად წარმოებული პოლიტიკის საშუალებით ხორციელდება. ფაქტია ორივე ქვეყანა კარგად აცნობიერებს რუსეთის ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა, რაც საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის სტაბილურობის კიდევ უფრო მეტი გარანტი იქნება. ამავე დროს ამ ქვეყნების მიმართ უდიდესი მხარდაჭერა გამოხატულია აშშ-სა და ევროკავშირის მიერ.

თუმცა არსებობს საფრთხე, რომელმაც შეიძლება ორმხრივ დაძაბულობა გამოიწვიოს - საზღვრის დემარკაციის საკითხი. თუ ეს დასჭირდა მესამე ძალას თავისი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის. რა თქმა უნდა ეს იქნება რუსეთის ფედერაცია, ვინაიდან ამით კონტროლი ექნება ორივე ქვეყანაზე, კერძოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კორიდორზე. ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ფონზე, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს საკითხის მშვიდობიან მოგვარებას, რაშიც აზერბაიჯანული მხარეც გამოხატავს დაინტერესებას. ხშირია ორმხრივი დელეგეციების ვიზიტები უმაღლეს დონეზე და მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე კოორდინირებულად და კონსტრუქციულად მუშაობის პრეცედენტები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის პროცესში შესწავლილმა ისტორიულმა წყაროებმა, კარტოგრაფიულმა რუკებმა და შემდგომში დადებულმა ხელშეკრულების ტექსტებმა სრულიად დაადასტურა დავით გარეჯის საქართველოს ტერიტორიული სივრცის

კუთვნილება. ხელშეკრულებების ტექსტმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს შემადგენლობაში უნდა შედიოდეს.

ორ ქვეყანას აქვს მზარდი ურთიერთკავშირი, რაც აისახება რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორში, პირველი - ესაა ტრადიციულად ძლიერი კავშირი კულტურის დარგში. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ეთნიკურად აზერბაიჯანელები არიან და ეთნიკურად ქართველი აზერბაიჯანის მოქალაქეები. ბოლოს - ეს არის სამხრეთ კავკასიის საერთო რეგიონული ინტერესები, მშვიდობა და სტაბილურობა, საერთაშორისო სამართლისა და წესრიგისადმი პატივისცემა.

ორი პოსტსაბჭოთა ქვეყნის - საქართველოს და აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, როგორც შუა აზიისა და კავკასიის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ისე შუა აზიაზე დასავლეთის შეუფერხებელი წვდომისთვის. ეს პარტნიორობა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ევროპის აზიასთან დამაკავშირებელი აღმოსავლეთ-დასავლეთის სახმელეთო სავაჭრო გზებისათვის, რაც სტაბილურობით ჩინეთის დაინტერესებასაც იწვევს. ბაქოსა და თბილისს შორის უთანხმოება ამჯერად, მართალია, საფრთხეს არ უქმნის ორ ქვეყანას შორის სტრატეგიულ ურთიერთობებს, თუმცა, ცხადად გამოჩნდა, რომ თუკი მას ყურადღება არ მიექცევა, ეს ერთი შეხედვით მდგრადი და საიმედო ურთიერთობაც შეიძლება მარტივად გახდეს პოპულისტური ძალებისა და გარეშე მანიპულაციების მსხვერპლი. მითუმეტეს, რომ საქართველოს და აზერბაიჯანს თავიანთი ურთიერთობების დინამიკის დაცვით შეუძლიათ დაეხმარონ რეგიონულ სიმშვიდესა და თანამშრომლობას, ასევე განახორციელონ ახალი სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტები. ილჰამ ალიევმა ერთ დროს აღნიშნა, რომ აზერბაიჯანი-საქართველოს ურთიერთობას აქვს დიდი მნიშვნელობა. რეგიონში ჩვენი მეგობრული და ძმური ურთიერთობის განვითარება მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენი ხალხისთვის და ქვეყნისთვის, ასევე რეგიონის სტაბილურობისა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ენერგო რესურსების მოპოვებამ და საქართველოს

ტერიტორიის გავლით დასავლეთის მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირებამ განსაზღვრა არამარტო ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის, არამედ მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტიები კავკასიაში.

საქართველო-აზერბაიჯანის კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებისთვის, რაც სამხრეთ კავკასიის რეგიონული ინტერესების და სტაბილურობის შექმნის გარანტიაა, მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- აზარბაიჯანელებმა და ქართველებმა, ერთად უნდა იზრუნონ სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებაზე. რეგიონში არასტაბილური მდგომარეობა სამივე სახელმწიფოში კრიზისულ მდგომარეობას შექმნის პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, რომლის მოგვარება არ იქნება მარტივი.

- მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე არსებული ხელოვნურად შექმნილი საფრთხის - სადემარკაციო ხაზის პრობლემის მოგვარება და დავით გარეჯის საკითხის გადაწყვეტა, რომელიც ართულებს ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობას და რეგიონულ პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და ე.წ. 40 კილომეტრიანი ხაზი, სადაც ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია განლაგებული ისტორიულად საქართველოს ფარგლებში იმყოფებოდა, რის დასტურსაც წარმოადგენს დისერტაციაში წარმოდგენილი რუკები, მიგვაჩნია, რომ ერთობლივი კომისიისა და საღი აზრის საფუძველზე პრობლემა მოგვარებადი უნდა გახდეს.

- საჭიროა გაბედული ნაბიჯების გადადგმა, აზერბაიჯანსა და საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან სამხრეთ კავკასიისა და ზოგადად კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობისათვის.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი და ერთი თემატური სემინარი.

სამი კოლოკვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი)

კოლოკვიუმი N1 - საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების ძირითადი ისტორიული ეტაპები და თეორიული საფუძვლები.

კოლოკვიუმი N2 - პოსტბიპოლარული სამყარო, ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი და მათი გავლენა კავკასიის რეგიონზე.

კოლოკვიუმი N3 - საქართველო და აზერბაიჯანი, როგორც სტრატეგიული პარტნიორები და მათი ურთიერთობები რეგიონულ უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ენერგეტიკულ პროექტებში.

თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს)

შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონალური პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კონფლიქტებთან მიმართებაში

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

სტატიები:

1. .პოლიტო/ LOGOS Vტომი 2022, გამომცემლობა „ივერიონი“2022

მარინე უგულავა, საქართველო-აზერბაიჯანის სოციალურ-კულტურული საგანმანათლებლი ურთიერთობები.

2. საქართველო-აზერბაიჯანის 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომი. ბაქო 2024

მარინე უგულავა, ქვემო ქართლში მცხოვრე აზერბაიჯანელთა საგანმანათლებლო პროექტები და ინტეგრაციის საკითხები.

3. Teoretikal I prakladnaa nauka, 2022. Philadalphia. USA

Marine Ugulava,Relations between Georgia and Azerbaijan in a historical perspective.

4. FARS Publishers Jurnal of EDUCATION, SOCIAL,SCIENSE @HUMANITES.

Ketevan Shoshiashvili.Marine Ugulava. GEORGIAN-AZERBAIJANI RELATIONS IN THE POST-SOVIET PERIOD: CHALLENGES AND PERSPECTIVES. 2024.vol12.No 5 Philippines, farspublisher01@gmail.com

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

1. .საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია.2022

ქეთევან შოშიაშვილი, მარინე უგულავა. თემა: საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონტექსტში

2. კავკასიოლოგთა VIსაერთაშორისო კონფერენცია. ინტერდისციპლინარული კვლევები II.(ენები,ხალხები, კულტურა, გენეტიკური კვლევები) ჩატარების ადგილი მესტია, 2022

ქეთევან შოშიაშვილი, მარინე უგულავა. საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების ძირითადი პრიორიტეტები და ტერიტორიული მთლიანობის საკითხები.

Coucasus International University

Faculty of Social Sciences

Doctoral Educational Program in Political Sciences

Right of Authorship

Marine Ugulava

Peculiarities of PostSoviet Georgia-Azerbaijan political relations

Abstract dissertation Presented for the degree of Doctor of Political Science

Tbilisi, 0142, Georgia

2024

Scientific Supervisor:

Tamar Kiknadze

Doctor of Political Science, Associate Professor of the Caucasus International University

Ketevan Shoshiashvili

Doctor of History, Associate Professor of the Caucasus International University

Official reviewers:

Soso Vakhtangashvili
Doctor of History, Associate Professor of the Caucasus International University

Emilia Alaverdov
Doctor of Political Science, Professor of the Georgian Technical University

The defense of the dissertation will take place on july 19, 2024, at 15:00 pm, in the Dissertation Council of the Caucasus International University Faculty of Social Sciences.
Address: 0141, Tbilisi, Chargli Street N 73, Caucasus International University, Building I, Room 305.
The dissertation is available in the library of the Caucasus International University.

Secretary of the Dissertation Board **Petre Mamradze,** Associate Professor of the Caucasus International University.

Annotation

The dissertation is dedicated to the study of the features of the political relations between post-Soviet Georgia and Azerbaijan. In particular, the end of the bipolar world and the determination of the foundations, goals and trends of the political, economic and cultural relations of post-Soviet Georgia and Azerbaijan. In addition, consideration of cooperation between Georgia and Azerbaijan as buffer states in the context of the Caucasus region. At the same time, the interests of the Western world and energy projects contribute not only to the stability and economic strengthening of Georgia-Azerbaijan, but also to the establishment of partnership relations.

This partnership is gaining even more importance for the East-West land trade routes connecting Europe with Asia. The partnership between Georgia and Azerbaijan is supported by world international organizations, through which the projects implemented not only aim

at the stability and economic strengthening of the relationship between the two countries, but are also of global importance.

The research was carried out based on various theories of international politics. We discussed the role of small countries in the international system, security problems and foreign policy, cultural relations.

Despite the unique foreign policy course and problems with the demarcation line, the relationship between the two countries is balanced and limited strategic cooperation.

The paper consists of an introduction, three chapters, 9 subchapters, expert research and conclusion, the paper is accompanied by a list of used literature.

The introduction substantiates the relevance of the research topic. The purpose of the research, objectives, hypothesis, research subject and object, theoretical-methodological fundamentals are given. The scientific novelty and the information base of the paper are shown.

The conclusion contains the general results and recommendations of the research, which, as a result of taking into account and implementing relevant measures, it is possible to determine the challenges facing Georgia and Azerbaijan in the background of political processes, which are important for the development of their relations in the future.